



გ-04/47.15  
26.11.15

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა  
და სოციალური დაცვის სამინისტრო  
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL  
AFFAIRS OF GEORGIA



KA030191748658115

საქართველო, თბილისი 0159; აკწერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი(+995 32) 251 00 33; 251 15 05;  
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak. Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19; Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/89678

20 / ნოემბერი / 2015 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის  
თავმჯდომარეს  
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2015 წლის 17 ნოემბერს შემოსული თქვენი Nგ-04/579.15 16.11.15 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვდით ინფორმაციას "შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის" შესახებ, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის N38 დადგენილებით დამტკიცებული ზემოხსენებული პროგრამის შესაბამისად, კომპანიების თანხმობის საფუძველზე შემოწმებულ იქნა 100-მდე კერძო და საჯარო დაწესებულება.

მონიტორინგის განხორციელების პროცესში გამოვლენილ იქნა შემდეგი სახის დარღვევები: ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის, სახანძრო ცეცხლმაქრების, საავარიო გასასვლელების, საევაკუაციო გეგმის, სავენტილაციო, ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების არარსებობა, საწარმოო სათავსებში მიკროკლიმატის დაუცველობა, სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის არარსებობა.

შემოწმების საფუძველზე მონიტორინგის განმახორციელებელი პირების (მონიტორების) მიერ მომზადდა დასკვნები აღმოჩენილი დარღვევების შესახებ და კომპანიებს/დაწესებულებებს წარედგინათ რეკომენდაციები მათი აღმოფხვრის შესახებ. მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას თან დაერთვის შესაბამისი სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომელიც არეგულირებს შესაბამის დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის N38 დადგენილების "შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ", მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტის ტანახმად, მონიტორინგის განმახორციელებელი პირების (მონიტორების) მიერ მომზადებული დასკვნები და რეკომენდაციები არასაჯაროა.


საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო პარალელურ რეჟიმში ახორციელებს აღმოჩენილი დარღვევების სისტემატიზაციასა და ანალიზს. შემოწმებული საწარმოების/ორგანიზაციების შესახებ შემაჯამებელი ანგარიში სამინისტროს მიერ წარმოდგენილი იქნება 2015 წლის ბოლოს.

მიმდინარე ეტაპზე სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ევროპული სტანდარტების (დირექტივების) საქართველოს კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის მიზნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადდა დოკუმენტების პროექტები, რომლებიც უკავშირდება სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს; დასაქმებულების მიერ სამუშაო ალჭურვილობის გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს. წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ ერთი დოკუმენტის პროექტის მომზადება, რომელიც შეეხება სამუშაო ადგილებზე დასაქმებულების მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებას.

ამავდროულად მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტზე "შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ".

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი



ლონისძიებათა დაგეგმვისა და  
საზოგადოებასთან ურთიერთობის  
სამმართველოს უფროსი

სოფიო უმიკაშვილი